ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა

განკარგულება № 32.08.966

"12" აგვისტო 2015 წ.

ა(ა)იპ - ქ. თბილისის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლის შენობის გამაგრების საპროექტო სამუშაოების შესასრულებლად თანხის გამოყოფის შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურში ა(ა)იპ - ქ. თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლიდან შემოვიდა წერილობითი თხოვნა (08/152189-52, 06.08.2015წ.), შენობის გამაგრების საპროექტო სამუშაოების შესასრულებლად თანხის გამოყოფის შესახებ. კერძოდ, ზემოაღნიშნულ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში 2015 წლის 13 ივნისს მოსულმა წვიმამ მნიშვნელოვნად დააზიანა შენობის II კორპუსი (მისამართი: ქ. თბილისი, კიევის ქ. №8), რამაც საფრთხე შეუქმნა მის მდგომარეობას. სასწავლო პროცესის უსაფრთხო გარემოში განახლებისთვის შენობა საჭიროებს გამაგრებითი სამუშაოების ჩატარებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია, დაკმაყოფილდეს ა(ა)იპ - ქ. თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის თხოვნა შენობის გამაგრების საპროექტო სამუშაოების შესასრულებლად 1800 (ერთი ათას რვაასი) ლარის გამოყოფის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 75-ე მუხლის ,,დ.ბ¹" პუნქტისა და „ე.თ", „ე.ი" ქვეპუნქტების, ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 დეკემბრის №18-57 დადგენილების შესაბამისად,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა ადგენს:

1. მოწონებულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის (ი. მაქაცარია-ჩხაიძე) წინადადება და ა(ა)იპ - ქ. თბილისის - მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს შენობის გამაგრების საპროექტო სამუშაოების შესასრულებლად გამოეყოს 1800 (ერთი ათას რვაასი) ლარი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით ,,კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებების" ქვეპროგრამისთვის (კოდი: 8.4.4) გათვალისწინებული ასიგნებებიდან.

2. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურს (ლ. თევზაია): უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურიდან წარმოდგენილი მოთხოვნის საფუძველზე, განკარგულების პირველ პუნქტში გათვალისწინებული თანხის ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ სისტემაში ასახვა.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს სფეროს კურატორ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი — დავით ნარმანია

საქმის სტილისტიკის განყოფილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა

განკარგულება № 33.10.988

"19" აგვისტო 2015 წ.

ა(ა)იპ - ,,ქ. თბილისის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლის" შენობის ნაწილობრივი სარემონტო და გათბობის სისტემის მოწყობის საპროექტო სამუშაოების შესასრულებლად თანხის გამოყოფის შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურში შემოვიდა ა(ა)იპ - ,,ქ. თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის" დირექტორის მანანა წნორიაშვილის წერილობითი თხოვნა (1421/07, 12.08.2015წ.) სამგორის ფილიალის შენობის (მისამართი: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №76) ნაწილობრივი სარემონტო და გათბობის სისტემის მოწყობის საპროექტო სამუშაოების შესასრულებლად თანხის გამოყოფის შესახებ. ა(ა)იპ - ,,ქ. თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის" სამგორის ფილიალის შენობა არ არის უზრუნველყოფილი გათბობის სისტემით, შესაცვლელია კარ-ფანჯრები, რაც მნიშვნელოვან პრობლემებს ქმნის სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფილად წარმართვისთვის.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია, დაკმაყოფილდეს ა(ა)იპ - ,,ქ. თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის" დირექტორის თხოვნა სამგორის ფილიალის შენობის ნაწილობრივი სარემონტო და გათბობის სისტემის მოწყობის საპროექტო სამუშაოების შესასრულებლად 9 800 (ცხრაათას რვაასი) ლარის გამოყოფის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 75-ე მუხლის ,,დ.ბ[1]", „ე.თ", „ე.ი" და ,,ე.კ" ქვეპუნქტების, 106[1] მუხლის მე-6 პუნქტის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის პირველი წიგნის პირველი კარის II თავის, ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 დეკემბრის №18-57 დადგენილების შესაბამისად,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა ადგენს:

1. მოწონებულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის წინადადება და ა(ა)იპ - ,,ქ. თბილისის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლს", სამგორის ფილიალის (მისამართი: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №76) შენობის ნაწილობრივი სარემონტო და გათბობის სისტემის მოწყობის საპროექტო სამუშაოების შესასრულებლად გამოეყოს 9 800 (ცხრაათას რვაასი) ლარი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით ,,კულტურის დაწესებულებების მატერიალურ - ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებების" ქვეპროგრამისთვის (კოდი: 8.4.4) გათვალისწინებული ასიგნებებიდან.

2. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურს: უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურიდან წარმოდგენილი მოთხოვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საქმის წარმოების განყოფილება №2

განკარგულების პირველ პუნქტში გათვალისწინებული თანხის ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ სისტემაში ასახვა.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს სფეროს კურატორ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.№6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი დავით ნარმანია

საქმის
წარმოების
განყოფილება
№2